ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №99

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 23 აპრილი 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „არისტოკრატი", მისი დირექტორის გოგი ახალაიას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა. ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 23 აპრილის №195 ბრძანების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წარმომადგენლის პოლონეთის რესპუბლიკაში ვიზიტთან დაკავშირებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „შემსყიდველი" ყიდულობს, ხოლო „მიმწოდებელი" ყიდის საჩუქარს (წიგნი „ვეფხისტყაოსანი") (შემდეგში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – საჩუქარი (წიგნი „ვეფხისტყაოსანი") (იხ.დანართი№1).
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია – 18500000 – სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები;
კლასიფიკატორის (CPV) კოდი – 18530000 – საჩუქრები და ჯილდოები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 25 აპრილის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 მაისის ჩათვლით.

ფოთის ... 216138143

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს აპარატი.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, სამი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული)	შპს „არისტოკრატი" დირექტორი
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	
დავით ბაბილუა	გოგი ახალაია
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12 სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №3 სს „ვითიბი ბანკი " ფოთის ფილიალი
ა/ა GE 40LB0120125805505002 ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215138143	ა/ა GE40VT0600002514443602 ბ/კ UGEBGE22 ს/კ 415088327

დანართი №1

წიგნები

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა და განზომილება	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	წიგნი „ვეფხისტყაოსანი“	1 ცალი	200.00	200.00	თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულო
	ჯამი:			200 ლარი	

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაბილუა

შპს „არისტოკრატი“
დირექტორი

გოგი ახალაია

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს აპარატის უფროსი

ლია არტრუხოვა

საქართველო

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 195 23 04 2014 წელი, ქალაქი ფოთი

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას პოლონეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ორგანიზებასთან დაკავშირებით თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან თანხის გამოყოფის შესახებ

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა 2014 წლის 23 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით მივლინებულ იქნება პოლონეთის რესპუბლიკაში, რომელიც შეეხება თანამშრომლობის გაგრძელებას პოლონეთის კომპანიას ,,Gazprojekt"სა და თვითმმართველ ქალქ ფოთს შორის. აღნიშნულთან დაკავშირებით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. პოლონეთის რესპუბლიკის დელეგაციისათვის გადასაცემი საჩუქრის შესაძენად თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან გამოიყოს 200 (ორასი) ლარი.

2. თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებამ უზრუნველყოს აღნიშნული თანხის 200 (ორასი) ლარის ანგარიშწორება: შპს,,არსიტროკრატი+"-თან ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგ რეკვიზიტებზე: ,,ვითიბი ბანკი" ფოთის ფილიალი ბ/კ UGEBGE22, ა/ანN GE40VT0600002514443602, ს/კ N 415088327.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეევალოს თვითმმართველი ქალაქის ფოთის საკრებულოს აპარატის უფროსს ლია არტიუხოვას.

215138143

4. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანვე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ბაბილუა**

საფუძველი: „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის.

შემსრ: იურიდიული განყოფილება